უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

# გადაწყვეტილება № 15

2014 წ. "13" 06

ქ.თბილისი

## შპს ჰეიდარ ალიევის სახელობის საქართველო-აზერბაიჯანის სასწავლო უნივერსიტეტის ავტორიზაციის შესახებ

დაწესებულების მიერ თვითშეფასების კითხვარში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის $56^2$-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, $56^3$-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად,

### საბჭომ გადაწყვიტა:

1. შპს ჰეიდარ ალიევის სახელობის საქართველო-აზერბაიჯანის სასწავლო უნივერსიტეტს (საიდენტიფიკაციო კოდი: 202205130) 5 წლის ვადით მიენიჭოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (სასწავლო უნივერსიტეტი) და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 300-ით.
2. შპს ჰეიდარ ალიევის სახელობის საქართველო-აზერბაიჯანის სასწავლო უნივერსიტეტს მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს დანართით გათვალისწინებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამები.
3. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2014 წლის 13 ივნისის №6 სხდომის ოქმის მე-2 ნაწილი ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
4. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6.

თავმჯდომარე
რევაზ აფხაზავა

მდივანი
ანა ზახტურიძე

*დანართი*

| აკადემიური უმაღლესი განათლების საფეხური | საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება დარგის/სპეციალობის ან ქვედარგის/სპეციალიზაციის მითითებით | მისანიჭებელი კვალიფიკაცია |
|---|---|---|
| ბაკალავრიატი | 1. კომპიუტინგის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა (დარგი/სპეციალობა - კომპიუტინგი/ინფორმატიკა<br>2.ქართული ენისა და ლიტერატურის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა (დარგი/სპეციალობა - ფილოლოგია) | 1.ბაკალავრი კომპიუტინგში<br>2. ბაკალავრი ფილოლოგიაში |
| მაგისტრატურა | 1. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ქართულ ლიტერატურაში (ქვედარგი/სპეციალიზაცია - ქართული ფილოლოგია) | 1. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მაგისტრი ქართულ ლიტერატურაში |